Wanex
ვანექსი

ოპტიკური ქსელის ოპერატორი - ინტერნეტ პროვაიდერი-
ლოკალური და საერთაშორისო სატელეფონო ოპერატორი

Fiber-Optical Network Operator - Internet Service Provider -
Local and International Telephone Service Operator

04.08.2009
№145/1

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბ-ნ ირაკლი ნიქოვანს

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2009 წლის 23 იულისა №02/367-09 წერილის შესაბამისად გიგზავნით "ანა.ს. "ვანექსის" საოფისე ქსელიდან ელექტრონული ფოსტების მიმოხილვების [illegible] 5 [illegible]

[illegible] 5 ფურცლად.

პატივისცემით,

[illegible]
[illegible] "ვანექსის"
[illegible]
[illegible]

N6/1932-09
05 08 2009
1+5

შ.პ.ს.“ვანექსის” საკუთარ ქსელთან გაფართოებული
ურთიერთჩართვის მომსახურების შეთავაზების წინადადება

(მ ო წ ვ ე ვ ი ს ო ფ ე რ ტ ა)

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია შ.პ.ს."ვანექსის" საკუთარ ქსელთან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ყველა ავტორიზირებულ პირზე და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით.

შ.პ.ს."ვანექსის" საკუთარ ქსელთან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. შ.პ.ს."ვანექსის" საკუთარ ქსელთან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების მისამართია (ურთიერთჩართვის წერტილი)ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. № 9.

2. შ.პ.ს. „ვანექსის" მიერ გაფართოებული ურთიერთჩართვა და პაკეტური კომუტაციის ქსელებით ინტერნეტ ტრაფიკის ურთიერთგაცვლა ხორციელდება ინტერნეტ ტექნოლოგიით, TCP/IP ინტერნეტ პროტოკოლისა და BGP მარშრუტიზაციის პროტოკოლის შესაბამისად. IP პაკეტების დანაკარგების დასაშვები დონე – 1%-ი. მიერთების ინტერფეისი – GE (ოპტიკური ან ელექტრონული).

3. შ.პ.ს."ვანექსის" საკუთარ ქსელთან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების ტარიფები შეადგენს:
   3.1. ყოველი გამოყოფილი 2 მეგაბიტ/წმ ექვივალენტური პორტისათვის (გამტარუნარიანობის სიმძლავრისათვის) შ.პ.ს."ვანექსი" და მეორე მხარე ანგარიშსწორებას მოახდენენ იმ ტარიფით, რაც შეესაბამება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის დადგენილ ზღვრულ ტარიფს (5000 ლარს დღგ-ის გარეშე 1 (ერთი) გიგაბიტ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრეზე).
   3.2. თუ შ.პ.ს."ვანექსის" მიერ მეორე მხარისათვის გაწეული მომსახურება ერთი თვის განმავლობაში ტოლია მეორე მხარის მიერ შ.პ.ს."ვანექსისათვის" გაწეული მომსახურებისა, ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება ურთიერთგაქვითვის პრინციპის საფუძველზე, კერძოდ, ანგარიშფაქტურების გაცვლითადა ურთიერთმოთხოვნათა შესაბამისი ოდენობების გაქვითვით;
   3.3. თუ შ.პ.ს."ვანექსის" მიერ მეორე მხარისათვის გაწეული მომსახურება ერთი თვის განმავლობაში აღემატება მეორე მხარის მიერ შ.პ.ს."ვანექსისათვის" გაწეულ მომსახურებას ან პირიქით, ასეთი სხვაობის ანაზღაურება უნდა მოხდეს 3.1. პუნქტის შესაბამისად, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
   3.4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 17 აგვისტოს №469/16 გადაწყვეტილებების შესაბამისად, ყოველთვიური ანგარიშსწორება გაფართოებული ურთიერთჩართვის სიმძლავრის პირველ 0.5 გიგაბიტ/წამის ფარგლებში ხორციელდება შესაბამისი სალდირებით, სადაც აღნიშნული 0.5 გიგაბიტ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრე არის სიმეტრიული. ანგარიშსწორება შ.პ.ს."ვანექსსა" და მეორე მხარეს შორის მოხდება გამოყოფილი 2 მეგაბიტ/წმ ექვივალენტური პორტების (გამტარუნარიანობის სიმძლავრე) მიხედვით, წინამდებარე ოფერტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

4. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს შ.პ.ს."ვანექსის" მიერ მხარისადმი წარდგენილი შემოსავლების შესახებ საოქმო

გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული თანხების ოდენობით, ხოლო სადაო ნაწილზე წარდგენილ იქნება გადაანგარიშების მოთხოვნა სათანადო დასაბუთებითა და შესაბამისი მტკიცებულებით. თუ მხარეები 10 სამუშაო დღის ვადაში ვერ შეთანხმდებიან საპრეტენზიო ნაწილზე, დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მეშვეობით.

5. შ.პ.ს."ვანექსის" საკუთარ ქსელთან გაფართოებული ურთიერთჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:
   5.1. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:
   ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
   ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
   გ) წერილობით განცხადება, სადაც კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული: რომელ ურთიერთჩართვის წერტილში სურს განმცხადებელს მიერთება, რა მარშრუტითა და ტექნიკური საშუალებებით გეგმავს განმცხადებელი გაფართოებული ურთიერთჩართვის წერტილთან მიერთებას (მათ შორის ფიზიკური არხი, პორტი და პროგრამული უზრუნველყოფა), გაფართოებული ურთიერთჩართვის მოთხოვნილი შესაბამისი პორტ(ებ)ი, მისი (მათი) ჯამური გამტარუნარიანობის სიმძლავრე სათანადო დასაბუთებით და გაფართოებული ურთიერთჩართვის განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა სხვა სახის ინფორმაცია;
   დ) წერილობით განცხადებაში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;
   5.2. განმცხადებელს არ უნდა გააჩნდეს დავალიანება შ.პ.ს."ვანექსის" მიმართ.
   5.3. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შ.პ.ს."ვანექსი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 5.1 და 5.2 მუხლებში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა გაფართოებული ურთიერთჩართვის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი.
   5.4. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შ.პ.ს."ვანექსი" წერილობით აცნობებს განმცხადებელს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 5.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი 5.2 მუხლის მოთხოვნას და არის თუ არა გაფართოებული ურთიერთჩართვის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში აქცეპტი მიღებულად ითვლება წერილობითი პასუხის გაცემის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა.
   5.5. 5.4 მუხლის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში შ.პ.ს."ვანექსი" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს მის მიერ ვიზირებული გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულება.
   5.6. აქცეპტანტი ვალდებულია 7 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს შ.პ.ს."ვანექსს". თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ აქცეპტანტი უარს აცხადებს ოფერტაზე და შ.პ.ს."ვანექსი" უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ოფერტაზე უარის მთქმელ პირთან ფაქტობრივი ურთიერთობები მათი არსებობის შემთხვევაში და ჩაითვლება, რომ შ.პ.ს."ვანექსს" აქცეპტანტთან არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებს.
   5.7. ის ავტორიზებული პირები, რომლებსაც აქვთ შ.პ.ს."ვანექსთან" წინამდებარე ოფერტის შესაბამისად გაფორმებული მოქმედი გაფართოებული

ურთიერთჩართვის ხელშეკრულება, დამატებითი სიმძლავრის პორტების მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი არიან იმოქმედონ შემდეგი პროცედურის მიხედვით:

ა) განმცხადებლები ვალდებულნი არიან განცხადების წარდგენისას დაიცვან მხოლოდ 5.1 მუხლის გ) და დ) პუნქტებში გათვალისწინებული მოთხოვნები და 5.2 მუხლის მოთხოვნა;

ბ) განმცხადებლები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ წერილობითი თანხმობა მოთხოვნილი მომსახურებისათვის შ.პ.ს."ვანექსის" მიერ დადგენილი ღირებულების გადახდაზე;

გ) განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შ.პ.ს."ვანექსი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 5.1 მუხლის გ) და დ) პუნქტებში დაფიქსირებულ მოთხოვნებს, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი 5.2 მუხლის მოთხოვნას და არის თუ არა დამატებითი სიმძლავრის გამოყოფა ტექნიკურად შესაძლებელი.

დ) განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შ.პ.ს."ვანექსი" წერილობით აცნობებს განმცხადებლს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 5.1 მუხლის გ) და დ) პუნქტებში დაფიქსირებულ მოთხოვნებს, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი 5.2 მუხლის მოთხოვნას და არის თუ არა დამატებითი სიმძლავრის გამოყოფა ტექნიკურად შესაძლებელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში აქცეპტი მიღებულად ითვლება წერილობითი პასუხის გაცემის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა;

ე) 5.7 მუხლის დ) პუნქტის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში შ.პ.ს."ვანექსი" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს მის მიერ ვიზირებული გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულება ან შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს აქცეპტანტთან მოქმედ ხელშეკრულებ(ებ)ში.

ვ) აქცეპტანტი ვალდებულია დაიცვას 5.6 მუხლში დაფიქსირებული მოთხოვნები.

6. შ.პ.ს."ვანექსის" საკუთარ ქსელთან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები:

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

6.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.θ

6.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები). საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

6.4. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ,

რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილიბით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

7. შ.პ.ს."ვანექსის" საკუთარ ქსელთან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებების შეწყვეტის პირობები:
   7.1. შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით;

8. შ.პ.ს."ვანექსის" საკუთარ ქსელთან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის წესი:
   8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მიერ. დავას განიხილავს ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი, რომელსაც დანიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი. დავას განიხილავს და გადაწყვეტს ის არბიტრაჟი, რომელიც კონკრეტულად მითითებული იქნება ხელშეკრულებაში.

9. წინამდებარე ოფერტა მოქმედებს გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადით.

შ.პ.ს. "ვანექსის"
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი
ნიკოლოზ ბერელიძე